<p>სოლიტონური და გრიგალური ტიპის მრავალგანზომილებიანი არაწრფივი სტრუქტურების ფორმირებისა და დაჯახებადი და არადაჯახებადი ურთიერთქმედების დინამიკის თეორიული და რიცხვითი კვლევა რთულ, უწყვეტ გარემოებში, მათ შორის – იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროს პლაზმაში, წარმოადგენს არაწრფივი ტალღური პროცესების თეორიის განვითარებაში წინ გადადგმულ ნაბიჯს. ასეთი არაწრფივი სტრუქტურები დაიმზირებიან დედამიწის მახლობელ კოსმოსურ სივრცეში, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და სხვა გარემოებში. ასეთი კვლევები იძლევა პლაზმურ გარემოზე ხელოვნური ზემოქმედების ლაბორატორიული და დედამიწის იონოსფეროსა და მაგნიტოსფეროში თანამგზავრული მეთოდებით დაკვირვებების, თეორიისა და ექსპერიმენტების შედეგების მჭიდრო შეთანხმებულობას, დამზერილი მდგრადი ტალღური პროცესების ფორმირების და სტრუქტურების დაშლით ტალღური ველის ტურბულიზაციის და ქაოტურ რეჟიმში გადასვლის ეფექტების ადეკვატური ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს. გარდა ამისა თეორიული და თეორიულ-მოდელური კვლევის შედეგები ჰპოვებს ბუნებრივ გამოყენებას მდგრადი სტრატეგიცირებული (ფენოვანი) წანაცვლებით დინებიანი გარემოების კვლევებში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს ატმოსფეროს და პლაზმის ჰიდროდინამიკასა და ფიზიკაში. მრავალგანზომილებიანი მიდგომა პროცესებისა და იმ მოვლენების ერთობლიობის გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი აქვს კონკრეტულ რთულ ფიზიკურ გარემოში (დისპერსიულ, დისიპაციურ, სხვადასხვა ტიპის არამდგრადობების შემთხვევებში) რეალურად დამზერილი არაწრფივი ტალღური (ასევე გრიგალურისაც) დინამიკის უკეთ და ადეკვატურად აღწერის შესაძლებლობას იძლევა. თეორიული ანალიზისა და რიცხვითი ექსპერიმენტების საფუძველზე შესწავლილ იქნა სოლიტონური და გრიგალური ტიპის (რომლებიც განაპირობებენ განმხოლოებული ურთიერთდაკავშირებული n-სოლიტონურ მდგომარეობას და n- გრიგალურ სისტემებს პლაზმასა და სხვა რთულ</p>			

უწყვეტ გარემოებში, როგორცაა ატმოსფერო, ჰიდროსფერო) ლოკალური სტაციონარული მდგომარეობის ფორმირების პროცესები და პირობები. გამოკვლევულ იქნა მათი არაწრფივი ურთიერთქმედებისა და დაშლის საკითხები, რომლებსაც თან ახლავს განხილული ფიზიკური სისტემის ენერჯის გამოსხივება.

	<p><b>გარდამავალი</b> (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი</p>	<p>პროექტის დაწყების და დამთავრების წლები</p>	<p>პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)</p>
1	2	3	4
3.	<p>საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის მახასიათებელ ზოგიერთ ელემენტთა ცვლილების შესწავლა საპროგნოზო რეგიონალურ მოდელთა ანსამბლის საფუძველზე.</p> <p>FR2017/FR17_548</p> <p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; დედამიწის და მათთან დაკავშირებული გარემოს შემსწავლელი მეცნიერებანი.</p>	2017-2020	<p><b>პროექტის ხელმძღვანელი:</b> თ. დავითაშვილი. <b>შემსრულებლები:</b> ი. სამარაძე, რ. ქვათაძე, ლ. მეგრელაძე.</p>
<p>საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილება ხასიათდება მრავალფეროვნებით, რაც ქმნის კლიმატური ტენდენციების მრავალ ფორმას. საანგარიშო პერიოდში პროექტის ეტაპის მიზანი იყო გამოკვლევულიყო მუდმივად ის მუდმივად მოქმედი თერმული, ადვექციურ-დინამიკური და ანთროპოგენური ფაქტორები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილებას განაპირობებს. შესწავლილ იქნა რიგი დაგეგმილი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ამოცანებისა, შესაბამისი ოპერაციული ფუნქციებით. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე რეგიონალური კლიმატის ცვლილების შესასწავლად რეგიონალური მოდელებისა (WRFv.6 Climate, RegCM4.7) და მძლავრი გამომთვლითი ტექნიკის (GRENA-ს და CERN-ის კლასტერების) საშუალებით შემუშავდა დაგეგმილი რეგიონალური კლიმატის პროგნოზირების სისტემა (ERCPS) და მისი საშუალებით სხვადასხვა CMIP5 GCM- ის და განსხვავებული კლიმატის ცვლილების ვარიანტების მიხედვით მოხდა კლიმატის საპროგნოზო სცენარების დამუშავება.</p>			

## 4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

### 4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგი ლი, გამომცემლობა	გვერდებისრა ოდენობა
1	T.Vashakmadze	Brief Description of Science Achievements, ISBN 978-9941-484-85-	Related Problems of Continuum Mechanics	Kutaisi, Akaki Tsereteli State University	5
<p>სტატიაში გადმოცემულია რიგი შედეგებისა, მიღებული ავტორის მიერ უწყვეტი გარემოს მექანიკის დარგის მიმართულებით. პირველი მიმართულება შეეხება თხელკედლოვანი სტრუქტურებისათვის (მათ შორის ფირფიტები და გარსები) დაზუსტებული თეორიის შესაბამისი მოდელების აგებას გამმარტივებელი ჰიპოთეზების გარეშე. ნაჩვენებია, რომ ყველა ადრე აგებული თეორია ინჟინრული ხასიათისაა და ერთის მხრივ, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მკაცრად სამგანზომილებიანი ამოცანის ექვივალენტურ მოდელად, მეორეს მხრივ, რიგი სტრუქტურებისათვის პრაქტიკული ხასიათის სიახლოვე ნათელია. ამდენად წარმოდგენილი ერთიანი მოჰიპოტეტური თეორიის გაერთიანება წარმოაჩენს საინჟინრო ხასიათის თეორიების არამართო დაპირისპირებულობას, არამედ ერთიანობასაც. ამავე დროს განვითარებული მეთოდოლოგია უმარტივესი მათემატიკური გამოსახულება აყველა ცნობილი თეორიის მისაღებად და მათ შორის ამოცანათა კლასისათვის ოპტიმალური მოდელის არჩევისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შერეული ხასიათის მოდელის აგების სიმარტივე, რაც ინჟინრული ხასიათით შერჩევისას წარმოუდგენელია. რამდენადაც ნაშთითი წევრი აგებულია ცხადად, ნაჩვენებია გადასვლის ცდომილების ქვემოდან შემოსაზღვრულობა. შემდეგ, მათემატიკური თეორიის აგების მიზნით შეწავლილია ე.წ. რეგულარული პროცესების მდგრადობა და კრებადობა ენერგეტიკული უტოლობების საშუალებით. ნაშრომის მეორე ნაწილი ეძღვნება რიგ დაზუსტებებსა და განზოგადებებს. კერძოდ, გამეორებულია უწყვეტი გარემოსათვის შესაძლო პრინციპი, რომ თუ რაიმე პროცესი ან მოვლენა სამართლიანია რაიმე სეპარატული ნივთიერებისათვის, იგი სამართლიანია უწყვეტი გარემოს აღმწერი ყველა ნივთიერებისათვის. ნაშრომში მოყვანილია რიგი მოსაზრება ფონ-კარმანის დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის, რაც რამდენადმე აზუსტებს ამ სისტემისათვის კორექტულობისა და „ფიზიკური ჟღერადობის“ ტრუსდელ-სიარლეს პრობლემებს</p>					
2	T.Vashakmadze	TO THE REALIZATION BY GAUSS-HERMITE APPROXIMATE METHOD FOR CAUCHY PROBLEM ISSN 1512-0066	International Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Appl.Math. Vol.33	Tbilisi, Iv. Javakhishvili Tbilisi State University Press	4

შესწავლილია კომის ამოცანის მიახლოებითი ამონახსნის პოვნის შესაძლებლობა. რუნგე-კუტა-ბატჩერის და ადამს-ბაშფორტის ტიპის მეთოდებისაგან გასხვავებით ამონახსნის გარკვეულ რიგამდე სიგლუვის შემთხვევაში საწყისი ცხრილი და მიახლოებითი ამონახსნი იგება ნებისმიერი რიგის (ბადის ბიჯის მიმართ) სიზუსტით.

შედეგი მიიღწევა ბადის კვანძების სპეციალური შერჩევით. ისინი ფეიერის  $\rho$  ნორმალური მატრიცის ელემენტებია. შემდეგ ვსარგებლობთ ჰერმიტის ორდინატებისა და დახრილობებისგან შემდგარი საინტერპოლაციო და ლობატოსა და კლენშოუ-კურტისის კვადრატურული ფორმულებით.

ამგვარი დაშვებების შემთხვევაში მტკიცდება, როგორც მდგრადობა, ისე კრებადობა  $O(h^{2n})$  რიგით.

3	K. Chargazia, O. Kharshiladze, D. Kvaratskhelia	Linear Evolution of IGW Structures in the Ionospheric Plasma at Interaction with Shear Flows ISSN 1512-0082	Bulletin of TICMI. ტ. 22, N 1	Tbilisi, Iv.Javakhishvili Tbilisi State University Press	7
---	-------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------	----------------------------------------------------------------------	---

საკვლევი მოვლენები და პროცესები მიმდინარეობენ დედამიწის ატმოსფეროს როგორც ნეიტრალურ, ასევე იონიზებულ (იონოსფერო, მაგნიტოსფერო) შრეებში. დაკვირვებების შედეგები აჩვენებს, რომ დედამიწის ატმოსფერულ - იონოსფერულ შრეებში მუდმივად არსებობენ სივრცით არაერთგვაროვანი დინებები (ქარები). აქედან გამომდინარე, შტატალების იონოსფეროსა და ატმოსფეროს სხვადასხვა შრეებში გენერაციისა და მათი შემდგომი ევოლუციის თავისებურებების გამოკვლევისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივ არაერთგვაროვან დინებებთან ურთიერთქმედება. ამ პროცესის გამოკვლევა წრფივ მიახლოებაშიც კი ძალზე რთულია დინებების (ქარების) არაერთგვაროვნების გამო. განსახილველი პროცესების კვლევისათვის გამოყენებულ იქნა ე.წ. არამოდალური მათემატიკური ანალიზი მოცემულ გარემოში (იონოსფეროში, მაგნოტო სფეროში) ტალღადინებების წრფივი ურთიერთქმედების აღმწერი მათემატიკური მოდელი (კერძოწარმოებულიანი წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა) დაყვანილ იქნა პირველი ხარისხის (დროის მიხედვით) ჩვეულებრივი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემაზე და გამოვლენილ იქნა ტალღების ურთიერთქმედების ახალი მექანიზმი.

4	A. Papukashvili G. Papukashvili M. Sharikadze	ON A NUMERICAL REALIZATION FOR A TIMOSHENKO TYPE ONE NONLINEAR BEAM EQUATION ISSN 1512-0066	International Enlarged Ses- sionsof the Seminar of I. Vekua Institute of Appl.Math. Vol. 33,	Tbilisi, Iv.Javakhishvili Tbilisi State University Press	4
---	-----------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------	---

ნაშრომში ტიმოშენკოს ტიპის ერთი არაწრფივი დინამიკური ძელის განტოლებისთვის (კერძოდ, ჯ. ბოლის მოდელის შემთხვევაში) გამოწერილია მაღალი სიზუსტის ახალი სათ-



ვლელი ალგორითმი. კერძოდ, ნაშრომში განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა ჯ.ბოლის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებისთვის, რომელიც აღწერს ძელის დინამიკურ მდგომარეობას. მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად გამოყენებულია გალიორკინის მეთოდი, მდგრადი სიმეტრიული სხვაობიანი სქემა და იაკობის იტერაციული მეთოდი. ალგორითმი აპრობირებულია ტესტურ მაგალითებზე.

5	N.Khatiashvili	On One Class Of Elliptic Equations Connected With The Nonlinear Waves. ISSN 2346-8092	Proceed. of A.Razmadze Math.Inst. 2019, Vol.173	Tbilisi, I.Javakhishvili Tbilisi State University press	10
---	----------------	------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------	---------------------------------------------------------	----

უსასრულო არეში მიღებულია არაწრფივი ელიფსური განტოლების უსასრულოებაში ქრობადი არაგლუვი ამოხსნები. განხილულია ამ განტოლების კერძო შემთხვევები. კერძოდ, შრე-დინგერის განტოლებები კვადრატული და კუბური არაწრფივობით, რომლებიც აღწერენ სოლიტონურ ტალღებს. მიღებულია ამ განტოლებების ამოხსნები ცხადი სახით. პროგრამა „Maple“ საშუალებით აგებულია სოლიტონური ტალღების პროფილები სხვადასხვა პარამეტრებისთვის.

6	N.Khatiashvili	On the Quantum Properties of 3D carbon nanostructures, ISSN 1512--0066.	International Enlarged Sessions of the Seminar of I. Vekua Institute of Appl.Math. Vol.33	Tbilisi, Tbilisi, Iv.Javakhishvili Tbilisi State University press	4
---	----------------	----------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------	---

განხილულია მათემატიკური მოდელი, რომელიც დაკავშირებულია ნახშირბადის სამგანზომილებიანი ნანოსტრუქტურების ქვანტურ თვისებებთან არარელატივისტური თეორიის თვალსაზრისით. პრიზმაში ჰექსაგონალური ფუძით შესწავლილია შრე-დინგერის სტაციონარული განტოლება ერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით. მიღებულია ანალიზური ამოხსნები და შეფასებულია ელექტრონების ენერგეტიკული დონეები.

## 5.ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	L. Sorriso-Valvo, G. De Vita, F. Fraternali, A. Gurchumelia, S. Perri, G. Nigro, F. Catapano,	Sign Singularity of the Local Energy Transfer in Space Plasma Turbulence. DOI: 10.3389/fphy. 2019.00108	Frontiers in Physics, Vol.. 7	შვეიცარია, ლოზანა	10

	A. Retin, H. Chen, E. Yordanova O. Pezzi, Kh. Chargazia, O. Kharshiladze, D. Kvaratskhelia, C. L. V'asconez, O. Le Conte, B. Giles, T. E. Moore, R.B.Torbert, J. L. Burch				
<p>ნაჩვენებია, რომ სუსტად დაჯახებად კოსმოსურ პლაზმაში ტურბულენტური კასკადი მეტწილად განაპირობებს ენერჯის წყაროს, რომელიც განიცდის დისიპაციას მცირე მასშტაბიან სხვადასხვა კინეტიკურ პროცესებში. გაანალიზებულია ისეთი დისიპაციური მექანიზმები, რომლებიც მოითხოვს ფლუქტუაციების კარგი სიზუსტით აღწერას, რაც უზრუნველყოფს ენერჯის მცირე მასშტაბებში გადატანას. შეფასებულია სხვადასხვა ენერგეტიკული არხების მასშტაბირების თვისებები ადგილობრივი ენერჯის გადატანის პროცესების მაგნიტოსფერული ტურბულენტობის მესამე რიგის მომენტის მასშტაბირების კანონის გამოყენებით. კერძოდ, ნიშან-სინგულარული ანალიზი იძლევა ინფორმაციას დადებითი და უარყოფითი ენერჯის ნაკადების სტრუქტურასა და ტოპოლოგიის შესახებ სხვადასხვა არხებში.</p>					
2	N. Khatiashvili	On energy levels of electrons in 2D car-bon nanostructures ISSN 978-988-14048	<i>Lecture Notes in Engineering and Computer Science</i> , Vol.1,2019	London, WCE, Newswood Limited	6
<p>სხვადასხვა მასალის ქვანტური თვისებები არსებითადაა დამოკიდებულია მათ მოლეკულურ სტრუქტურაზე. ნაშრომში განხილულია ორგანოზომილებიანი კარბონის ნანოსტრუქტურების ქვანტური თვისებები არარელატივისტური თეორიის თვალსაზრისით. კერძოდ, განხილულია შრე-დინგერის სტაციონალური განტოლება ჰექსაგონალური ტიპის არეებში შესაბამისი სასაზღვრო პირობებით. კონფორმულ ასახვათა მეთოდით ეს განტოლება დაიყვანება გადაგვარებულ ელიფსურ განტოლებაზე. მიღებულია ამ განტოლების ზუსტი ამოხსნები- საკუთრივი რიცხვები და საკუთრივი ფუნქციები. შესაბამისად, მიღებულია ელექტრონების ტალღური ფუნქციები და ენერგეტიკული დონეების რიცხვითი მნიშვნელობები.</p>					
3	T. Davitashvili	Modelling transportation of desert dust to the South Caucasus using WRF Chem model. <i>E3S Web of Conferences</i> <b>99</b> , 03011 (2019) <i>CADUC 2019</i>	Volume 99, 03011 (2019)	<i>CADUC 2019</i>	4

## 6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	T.Vashakmadze,	To the approximate solution of Cauchy problem for evolution equation by high order of accuracy	მეშვიდე ყოველწლიური საფაკუტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, თბილისი, თსუ, 2019
2	თ. ვაშაკმაძე	ანიზოტროპული გარემოსათვის დრეკადობის წრფივ თეორიის, პოლინომთა ნამრავლის განსაზღვრისა და მეცნიერული გათვლების შესახებ,	გმი სემინარის სხდომა, 06 თებერვალი, 2019
3	თ. ვაშაკმაძე	მეცნიერებასა და ტექნოლო-გიაში რიგი შედეგების მიღებისა და დანერგვის შესახებ საფრენი აპარატებისა და მილგაყვანილობებისათვის	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სხდომა, 2019, 01 მარტი
4	თ. ვაშაკმაძე	ევოლუციური განტოლების შესახებ	ანდრია ბიწაძის სემინარის სხდომა, თსუ გმი, 2019, 30 მაისი
5	თ. ვაშაკმაძე	გაუს-ჰერმიტის მეთოდით კომის ამოცანი სრულიზაციის შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
6	T.Vashakmadze	To the Theory and Practice of Thin-Walled Structures	23-26 September, 2019, IV IC of AMINSE, Tbilisi, Georgia, VIAM, ISSN 978-9941-13-877-5
7	T.Vashakmadze	On the Numerical Realization on the Boudary Value Problems for the Pipes	26-29 September, X Inter. Meeting of GeoMech. Union, Telavi, ISSN 2233-355X
8	T.Vashakmadze	Brief Description of Science Achievements	31.10.2019-01.11.2019, Inter. Sci. Workshop "Related Problems of Continuum Mechanics", Kutaisi, Akaki

			Tsereteli State University, ISBN 978-9941-484-85-8
9	თ.ვაშაყმაძე	უწყვეტი გარემოს მექანიკის რიგი ამოცანების ორგანზო-მილებიანი მოდელებით აპ-როქსიმაციის სათანადო სქე-მების ფუნქციონირებისა და მათი მილსადენებისათვის გამოყენების შესახებ	საქ.მეცნ.ეროვნული აკადემიის ინოვაციებისა და მაღალი ტექნოლოგიების ცენტრის სხდომა 18.12.2019
10	Chargazia Kh., Kharshiladze O., Zinbardo, G.	SUPERDIFFUSIVE TRANSPORT IN ASTROPHYSICAL PLASMASWITH SHEAR FLOWS	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
11	Chargazia Kh., Kharshiladze O., Zinbardo, G.	სუპერდიფუზური გადატანის პროცესები მაგ-ნიტოსფერულ პლაზმაში	26-29/09, X Inter. Meeting, Geor. Mech.Union, Telavi
12	A. Papukashvili, G. Papukashvili, M. Sharikadze	ON A NUMERICAL REALIZATION FOR A TIMOSHENKO TYPE NONLINEAR BEAM EQUATION	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
13	ნ.ხატიაშვილი	სხვადასხვა ნანოსტრუქ-ტურის ქვანტური თვის-ებების შესახებ	2-7/09, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის X საერთაშორისო კონფერენცია, ბათუმი
14	ნ.ხატიაშვილი	On the Quantum Properties of 3D carbon nanostructures,	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge">http://www.viam.science.tsu.ge</a>

			<a href="#">/enlarged/2019/</a>
15	T. Davitashvili, I. Samkharadze	Identification of the better WRF's parameterizations set for showers prediction,	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge">http://www.viam.science.tsu.ge</a> <a href="#">/enlarged/2019/</a>
16	T. Davitashvili, I. Samkharadze	Study of Local Scale Convection Forecasts by Different Physical Options of WRF Model and READY System above Complex Terrain,	X Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, 2-7 September, 2019, Batumi, Georgia
17	Rukhaia Kh., Davitashvili T., Tibua L.	Logical Proving Applications in Meteorological Tasks	X Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, 2-7 September, 2019, Batumi, Georgia
18	Davitashvili T., Sharikadze M.	Modeling of Dew Point Temperature Localization in Gas Pipeline.	X Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, 2-7 September, 2019, Batumi, Georgia
19	Davitashvili T., Sharikadze M.	Modeling of Extreme Events and Regional Climate Variability on the Territory of Caucasus (Georgia).	Fourth International Conference on Applications of Mathematics and Informatics in Natural Sciences and Engineering (AMINSE 2019) Tbilisi, Georgia, September 23-26, 2019
20	A. Papukashvili, G. Papukashvili, M. Sharikadze	On a numerical computation for one non-linear beam equation of Timoshenko type	X Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, 2-7 September, 2019, Batumi, Georgia
21	A. Papukashvili, G. Papukashvili, M. Sharikadze	On a numerical realization for a Timoshenko type one nonlinear beam equation	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge">http://www.viam.science.tsu.ge</a>

			<u>/enlarged/2019/</u>
22	G. Geladze, M. Sharikadze, M. Tevdoradze	Numerical simulation of smog against aerosol-“humidity” thermohydrodynamics model	X Annual International Conference of the Georgian Mathematical Union, 2-7 September, 2019, Batumi, Georgia
23	A. Papukashvili, G. Papukashvili, M. Sharikadze	On a numerical computation for one non-linear Integro-differential equation of Timoshenko type	X Annual International Meeting of the Georgian Mechanical Union., 26-28 September, 2019, Telavi, Georgia.
24	გ.გელაძე	სმოგის რიცხვითი მოდელირების შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge">http://www.viam.science.tsu.ge</a> <u>/enlarged/2019/</u>

## 6. 2.უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენებისათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დროდაადგილი
1	Kh.Chargazia, O.Khashiladze	Self-organization of the low frequency internal gravity wavy perturbations into the nonlinear vortex structures in the ionosphere at interaction with local non uniform winds	Partially Ionised Plasmas in Astrophysics 2019 (PIPA2019).3-7 June Palma de Mallorca (გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში.)
2	D.Kvarackhelia, D.Demetrashvili, Kh.Chargazia,	Numerical Investigation of the Wind-Driven Turbulence and Cooling Process in the Black Sea	EGU General Assembly 2019. April 7-12, Vienna, Austria (გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში.)
3	N.Vasilieva- Vashakmadze	ABOUT THE MECHANISM OF ROTATION OF THE ROTOR FO F1 ATP-SYNTHASE	VI Congress of Russian Biophysiciance , 6-21Sep., 2019,Sochi (გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში.)
4	N.Vasilieva- Vashakmadze	ABOUT THE MECHANISM OF ACTIVE ION TRANSPORT	VI Congress of Russian Biophysiciance

			6-21Sep., 2019, Sochi (გამოქვეყნებულია კონფერენციის მასალებში.)
5	T. Davitashvili	Modelling transportation of desert dust to the South Caucasus using WRF Chem model,	International Conference “Central Asian Dust Conference” from 8 April until 12 April, 2019, Dushanbe, Tajikistan
6	T. Davitashvili	Extreme events modeling using WRF model different physical parameterization schemes on the territory of Georgia,	International conference on Extreme Events - Building Climate Resilient Societies October 09 - 11, 2019, Herrenhausen Palace, Hanover, Germany.
7	T. Davitashvili	Modelling of mineral dust aerosols transportation and impact on regional climate change using REF/C and RegCM models,	The International Society for Ecological Modelling Global Conference 2019, 1-5 October, 2019 Salzburg, Austria
8	T. Davitashvili, L.Megrelidze, I.Samkharadze, R.Kvatadze, N.Kutaladze, G.Mikuchadze	Future Scenarios of Air Temperature Maximums and Minimums for Georgia Based on Statistical Downscaling,	11th International Conference on Extreme Value Analysis Zagreb, Croatia, July 1-5, 2019

### III. დიფერენციალური განტოლებების და ოპტიმალური მართვის განყოფილება

თამაზ თადუმაძე (განყოფილების ხელმძღვანელი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), რომან კოპლატაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი), თეა შავაძე (თსუ დოქტორანტი, გმი სპეციალისტი), ნათია ხაჩიძე (თსუ დოქტორანტი, გმი სპეციალისტი)

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ფუნქციონალურ-დიფერენციალური და სხვაობიანი განტოლებების თვისებრივი თეორიის ზოგიერთი საკითხი: ამონახსნების ასიმპტოტური ყოფაცევა, რხევადი და დადებითი ამონახსნების არსებობის საკმარისი პირობები, განტოლებები A და B თვისებებით, კორექტულობა და სენსიტიური ანალიზი, ამონახსნების ვარიაციის ფორმულები და ოპტიმიზაციის ამოცანები. მათემატიკა/გამოყენებითი მათემატიკა	2018-2022	<b>პროექტის ხელმძღვანელი:</b> თ. თადუმაძე <b>შემსრულებლები:</b> თ. თადუმაძე, რ. კოპლატაძე, თ. შავაძე, ნ. ხაჩიძე <b>საზოგადოებრივ საწყისებზე :</b> აბდელჯალილ ნაშავი (ნანტის უნივერსიტეტის ჟ. ლერეს სახელობის მათემატიკის ლაბორატორია, საფრანგეთი), ალექსანდრე დომოშნიკი (არიელის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი, ისრაელი), იოანის სტავროულაკისი (იოანინას უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტი, საბერძნეთი), სანდრა ფინელა (ამადორას სამხედრო აკადემია, პორტუგალია), ფრიდონ დვალიშვილი და მედეა იორდანიშვილი (თსუ, კომპიუტერულ



		მეცნიერებათა დეპარტამენტი)
<p>დისკრეტული ფუნქციებისთვის მიღებულია ტეილორის ტიპის ფორმულები, რომლის გამოყენებით დადგენილია მაღალი რიგის ემდენ-ფაულერის სხვაობიანი განტოლებების შემოუსაზღვრელი, ქრობადი და რხევადი ამონახსნების არსებობა უსასრულობის მიდამოში. თითქმის წრფივი მეორე რიგის სხვაობიანი განტოლებებისთვის დადგენილია დადებითი ამონახსნების არსებობის აუცილებელი პირობები, რომლის გამოყენებით მიღებულია უსასრულობის მიდამოში რხევადი ამონახსნების არსებობის ოპტიმალური საკმარისი პირობები. არაწრფივი ოპტიმალური ამოცანისთვის მრავალი მუდმივი დაგვიანებით როგორც ფაზურ კოორდინატებში ასევე მართვებში, დამაგრებული ბოლოებითა და ინტეგრალური ფუნქციონალით მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები: საწყისი ფუნქციისთვის გაწრფივებული ინტეგრალური მაქსიმუმის პრინციპის ფორმით; მართვისთვის წერტილოვანი მაქსიმუმის პრინციპის ფორმით; საწყისი და საბოლოო მომენტებისთვის ტოლობებისა და უტოლობების სახით. დადგენილია ინტეგრალური ოპერატორის თვისებები, რომელთა საფუძველზე კვაზი-წრფივი სამართი ნეიტრალური გატოლებისთვის დამტკიცებულია კომის ამოცანის ამონახსნის უწყვეტად დამოკიდებულება საწყისი მონაცემებზე თანაბრად მართვების მიმართ.</p>		

## 2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

### 2.2

№	დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	ამონახსნების ვარიაციის ფორმულები სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებებისთვის წყვეტილი საწყისი პირობით და დაგვიანებების შემოფოთების გათვალისწინებით და მათი გამოყენება ოპტიმიზაციის ამოცანებში. მათემატიკა/გამოყენებითი მათემატიკა. PhD_F_17_89 (დოქტორანტურის	2017-2019	პროექტის ხელმძღვანელი: თ. შავაძე

საგანმანათლებლო პროგრამების გრანტი)		
<p>არაწრფივი სამართი ფუნქციონალურ – დიფერენციალური განტოლებისათვის წყვეტილი (უწყვეტი) საწყისი პირობით დამტკიცებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები ვარიაციათა ფართო კლასებში, იმ შემთხვევაში, როცა დაგვიანების პარამეტრებისა და საწყისი მომენტის ვარიაციათა ნიშნები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია. განხილულია სამი შემთხვევა, როცა საწყისი მომენტის ვარიაცია ხდება მარცხნიდან, მარჯვნიდან და ორივე მხრიდან. არაწრფივი ოპტიმიზაციის ამოცანისათვის, ზოგადი სასაზღვრო პირობით და ფუნქციონალით, რომელიც შეიცავს დაგვიანებებს როგორც ფაზურ კოორდინატებში, ასევე მართვებში, დამტკიცებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები: საწყისი და საბოლოო მომენტებისთვის ტოლობებისა და უტოლობების სახით; საწყისი ვექტორისთვის ტოლობის სახით; საწყისი და მართვის ფუნქციებისთვის ინტეგრალური მაქსიმუმის პრინციპის ფორმით.</p>		

#### 4. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

##### 4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1.	T. Tadumadze, A. Nachaoui, T. Shavadze	The equation in variations for the controlled differential equation with delay and its application. E ISSN 1512-3391	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations December 07-09, 2019 , Tbilisi ,	ელექტრონ-ული ვერსია <a href="http://www.rmi.ge/eng/QUALITDE-2019/workshop2019.htm">www.rmi.ge/eng/QUALITDE-2019/workshop2019.htm</a>	4
2.	R. Koplatadze	Oscillation criteria for higher order essential nonlinear functional differential equations ISSN 1512-0058	Simin. I. Vekua Inst. Appl. Math., Rep., 45 (2019)	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	3
3	T. Tadumadze, T. Shavadze	Variation formulas of solution for the controlled functional differential equations considering delay	Semin. I. Vekua Inst. Appl. Math., Rep., 45 (2019)	თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა	22

		parameters perturbations and optimal control problems			
<p>1. დადგენილია, რომ ამონახსნის პირველი ვარიაცია აკმაყოფილებს არაერთგვაროვან წრფივ განტოლებას ვარიაციებში. ანალიზურად აგებულია შემფოთებული განტოლების მიახლოებითი ამონახსნი. საილუსტრაციოდ განხილულია მაგალითი.</p> <p>2. დადგენილია ეფექტური საკმარისი პირობები ამონახსნების რხევადობის შესახებ უსასრულობის მიდამოში.</p> <p>3. მიღებულია ამონახსნის ვარიაციის გლობალური და ლოკალური ფორმულები. ოპტიმიზაციის ამოცანებისთვის დადგენილია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები: საწყისი და საბოლოო მომენტებისთვის ტოლობებისა და უტოლობების სახით; ფასურ კოორდინატებში შემავალი დაგვიანებისთვის ტოლობის სახით; საწყისი ვექტორისთვის ტოლობის სახით; საწყისი და მართვის ფუნქციებისთვის ინტეგრალური მაქსიმუმის პრინციპის ფორმით.</p>					

## 5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

### 5.4. სტატიები

№	ავტორი/ ავტორები	სტატიის სათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/ კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	Ph.Dvalishvili, T. Tadumadze	Optimization of one marketing relation model with delay. ISSN 2519-4836	Journal of Modern Technology and Engineering , 4 (1), 2019	Jomard Publishing	6
2	T. Tadumadze, Ph. Dvalishvili, T. Shavadze	On the Representation of Solution of the Perturbed Controlled Differential Equation with Delay and Continuous Initial . ISSN 1683-3511 (print), ISSN 1683-6154 (online)	Appl. Comput. Math. 18 (3) , 2019	Baku State University	11
3	Ph. Dvalishvili, A. Nachauoi, T. Tadumadze	Effects of the initial moment and several delays perturbations in the variation formulas for a solution of a functional differential equation with the continuous initial condition	Georgian Math. J. 2019	De Gruiter	16

	<a href="https://doi.org/10.1515/gmj-2019-2050">https://doi.org/10.1515/gmj-2019-2050</a>		
<p>1. მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები მართვაში დაგვიანების შემცველი ერთი კლასის მარკენტიგული მოდელის ოპტიმიზაციის ამოცანისთვის. წრფივ შემთხვევაში დადგენილია ოპტიმალური მართვის სახე.</p> <p>2. დადგენილია შემფოთებული დაგვიანებულ არგუმენტის დიფერენციალური განტოლების მიახლოებითი ამონახსნის ანალიზური სახე. საილუსტრაციოდ განხილულია მაგალითი.</p> <p>3. დამტკიცებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები ერთი კლასის ფუნქციონალ-დიფერენციალური განტოლებისთვის მრავალი დაგვიანებით და უწყვეტი საწყისი პირობით. ვარიაციის ფორმულებში გამოვლენილია დაგვიანების პარამეტრების შემფოთების ეფექტები.</p>			

## 6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

### 6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მომხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1	თ. თადუმაძე	არაწრფივი ოპტიმალური ამოცანის ფუნქციონალის მინიმუმის უწყვეტობა და მისი გამოყენებები	თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, 2019
2	თ. თადუმაძე	პროფესორ გურამ ხარატიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ	თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, 2019
3	თ. თადუმაძე	დაგვიანებულ არგუმენტის დიფერენციალური განტოლების ამონახსნის წარმოდგენის შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
4	T. Tadumadze, A. Nachaoui, T. Shavadze	The equation in variations for the controlled differential equation with delay and its application	International Workshop on the Qualitative Theory of Differential Equations, December 07-09, 2019, Tbilisi, Georgia
5	რ. კოპლატაძე	მაღალი რიგის განზოგადოებული წრფივი დიფერენციალური განტოლებები	თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია

		გადახრილი არგუმენტით	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, 2019
6	რ. კოპლატაძე	გადახრილ არგუმენტთან თითქმის წრფივი დიფერენციალური განტოლებები	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
7	თ. შავაძე	ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები ოპტიმალური მართვის არაწრფივი ამოცანისათვის მრავალი დაგვიანებით, უწყვეტი და წყვეტილი საწყისი პირობებით	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
8	თ. შავაძე	ოპტიმალური მართვის ამოცანა წყვეტილი საწყისი პირობით და მრავალი მუდმივი დაგვიანებით	თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, 2019
9	ნ. ხაჩიძე	მაღალი რიგის არაწრფივი სხვაობიანი განტოლებების ამონახსნების რხევადობის შესახებ	ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის XXXIII საერთაშორისო გაფართოებული სხდომები 2019 წლის 23-25 აპრილი, თბილისი, საქართველო <a href="http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/">http://www.viam.science.tsu.ge/enlarged/2019/</a>
10	ნ. ხაჩიძე	მაღალი რიგის არაწრფივი სხვაობიანი განტოლებები	თსუ მე-7 ყოველწლიური საფაკულტეტო კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, 11-15 თებერვალი, 2019
<ol style="list-style-type: none"> <li>დადგენილია ინტეგრალური ფუნქციონალის მინიმუმის უწყვეტობა მართვებზე დამოკიდებული შეშფოთებების მიმართ. საილუსტრაციოდ განხილულია არაგლუვი და სინგულარული ოპტიმალური ამოცანები.</li> <li>მოხსენებაში გადმოცემულია გ. ხარატიშვილის მოღვაწეობის ფრაგმენტები დაწყებული სტუდენტობიდან დამთავრებული მისი სიცოცხლის ბოლო დღემდე.</li> <li>შეშფოთებული არაწრფივი სამართი დიფერენციალური განტოლებებისთვის მუდმივი დაგვიანებით ფაზურ კოორდინატებში მიღებულია ამონახსნის ანალიზური წარმოდგენის</li> </ol>			

- ფორმულა. ფორმულაში გამოვლენილია დაგვიანების პარამეტრის შეშფოთების ეფექტი.
4. ადგენილია, რომ ამონახსნის პირველი ვარიაცია აკმაყოფილებს არაერთგვაროვან წრფივ განტოლებას ვარიაციებში. ანალიზურად აგებულია შეშფოთებული განტოლების მიახლოებითი ამონახსნი. საილუსტრაციოდ განხილულია მაგალითი.
  5. დადგენილია ეფექტური საკმარისი პირობები ამონახსნების რხევადობის შესახებ უსასრულობის მიდამოში.
  6. მიღებულია თითქმის წრფივი გადახრილ არგუმენტებიანი დიფერენციალური განტოლების ამონახსნების რხევადობის საკმარისი, საკმარისი და აუცილებელი პირობები.
  7. ოპტიმალური მართვის ამოცანისათვის მრავალი მუდმივი დაგვიანებით ფაზურ კოორდინატებსა და მართვებში მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები საწყისი და საბოლოო მომენტებისათვის, ფაზურ კოორდინატებში შემავალი დაგვიანებებისა და საწყისი ვექტორისათვის, საწყისი და მართვის ფუნქციისათვის. გამოვლენილია უწყვეტი და წყვეტილი საწყისი პირობების ეფექტები.
  8. არაწრფივი ოპტიმალური ამოცანისთვის წყვეტილი საწყისი პირობით, მრავალი მუდმივი დაგვიანებით ფაზურ კოორდინატებსა და მართვებში, ზოგადი სასაზღვრო პირობებითა და ფუნქციონალით, მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები: უტოლობებისა და ტოლობების სახით საწყისი და საბოლოო მომენტებისთვის, ფაზურ კოორდინატებში შემავალი დაგვიანებებისა და საწყისი ვექტორისთვის; ინტეგრალური მაქსიმუმის პრინციპის ფორმით საწყისი და მართვის ფუნქციებისთვის.
  9. მიღებულია მაღალი რიგის სხვაობიანი განტოლების ამონახსნების რხევადობის საკმარისი პირობები.
  10. დადგენილია მაღალი რიგის სხვაობიანი განტოლების ამონახსნების რხევადობის საკმარისი პირობები.

## 6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის დასახელება, ჩატარების დრო და ადგილი
1.	T. Tadumadze, M. Iordanishvili, T. Shavadze	Delay optimization problem for one class of functional differential equation	7 <sup>th</sup> Ariel Conference of Functional Differential Equations and Applications, September 22-27, 2019, Ariel University, Ariel, Israel
2.	R. Koplatadze	Oscillation criteria for higher order linear differential equations with several delays	7 <sup>th</sup> Ariel Conference of Functional Differential Equations and Applications, September 22-27, 2019, Ariel University, Ariel, Israel
3.	T. Shavadze	Necessary Conditions of Optimality for the Nonlinear Optimal Control Problem with Delays and the Discontinuous Initial Condition	The 12th International Conference on Numerical Optimization and Numerical Linear Algebra, 2019, 15-18 April, Shangrao, Jiangxi, China

4.	T. Shavadze	Variation Formulas of Solutions for Controlled Delay Differential Equation with the Continuous Initial Condition and their Application in the Optimization Problems	International Conference on Mathematical Optimization, 2019, 8-13 April, Beijing, China
5.	N. Khachidze	Higher order difference equation with property A and B	7 <sup>th</sup> Ariel Conference of Functional Differential Equations and Applications, September 22-27, 2019, Ariel University, Ariel, Israel
<ol style="list-style-type: none"> <li>1. არაწრფივი ოპტიმალური ამოცანისათვის დაგვიანებებით მიღებულია აუცილებელი პირობები: დაგვიანებებისთვის ტოლობის სახით; მართვის ფუნქციისათვის გაწრფივებული მაქსიმუმის პრინციპის პორმით.</li> <li>2. მაღალი რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლებისთვის მრავალი დაგვიანებით დადგენილია ამონახსნის რხევადობის საკმარისი პირობები.</li> <li>3. ოპტიმალური მართვის ამოცანისათვის მრავალი მუდმივი დაგვიანებით ფაზურ კოორდინატებსა და მართვებში მიღებულია ოპტიმალურობის აუცილებელი პირობები საწყისი და საბოლოო მომენტებისათვის, ფაზურ კოორდინატებში შემავალი დაგვიანებებისა და საწყისი ვექტორისათვის, საწყისი და მართვის ფუნქციისათვის. გამოვლენილია უწყვეტი და წყვეტილი საწყისი პირობების ეფექტები.</li> <li>4. მიღებულია ამონახსნის ვარიაციის ფორმულები, ხოლო ოპტიმიზაციის ამოცანებისათვის ოპტიმალურობის აუცილებელი პირობა.</li> <li>5. დადგენილია საკმარისი პირობები იმისა, რომ სხვაობიან განტოლებას გააჩნდეს A ან B თვისება</li> </ol>			

### დამატებითი ინფორმაცია

- 1) **თ. თადუმაძე** - თსუ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
- 2) **თ. შავაძემ** წარადგინა დისერტაცია მათემატიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულია შემფასებლებისა და დაცვის კომისიის შემადგენლობა. დაცვა შედგება 2020 წლის იანვრის ბოლოს.
- 3) **თ. შავაძე** მივლინებით იმყოფებოდა ნანტის უნივერსტეტში (საფრანგეთი), სადაც სამეცნიერო კვლევებს ატარებდა მისი მეორე სამეცნიერო ხელმძღვანელის პროფესორ ა. ნაშავის მეთვალყურეობის ქვეშ. იგი მოხსენებით გამოვიდა სამეცნიერო სემინარზე.

## IV. კერძოწარმოებულის დიფერენციალური განტოლებების განყოფილება

თემურ ჯანგველაძე (განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი),  
დავით ნატროშვილი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), ჯემალ როგავა (მთავარი  
მეცნიერი თანამშრომელი), გიორგი ჯაიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), მიხეილ  
გაგოშიძე (მეცნიერი თანამშრომელი)

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მიხედვით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1.	ზოგიერთი კლასის დიფერენციალური და ინტეგრირ-დიფერენციალური მოდელის გამოკვლევა და მიახლოებითი ამოხსნა	2018-2022	<b>პროექტის ხელმძღვანელი:</b> თ. ჯანგველაძე <b>პროექტის შემსრულებლები:</b> თ. ჯანგველაძე, დ. შულაია, მ. გაგოშიძე <b>საზოგადოებრივ საწყისებზე:</b> ზ. კილურაძე (მისურის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსი- ტეტი, აშშ)

ელექტრომაგნიტური ველის გარემოში გავრცელების პროცესის აღმწერი მაქსველის განტოლებათა არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი სისტემისათვის ერთგანზომილებიანი ანალოგისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის კორექტულობა. დადგენილია სტაციონარული ამონახსნის წრფივად და გლობალურად მდგრადობის საკითხი. დაფიქსირებულია ჰოფის ტიპის ბიფურკაციის შესაძლებლობა. აგებულია სასრულ-სხვაობიანი სქემა. დაფუძნებულია მისი მდგრადობა და კრებადობა. მოყვანილია მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი.

პარაბოლური ტიპის ინტეგრირ-დიფერენციალური განტოლებისათვის შესწავლილია საწყის-სასაზღვრო ამოცანის ცალსახად ამოხსნადობის, ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევისა და რიცხვითი ამოხსნის საკითხები. მრავალგანზომილებიანი მოდელისათვის აგებულია როტეს ტიპის ნახევრად-დისკრეტული სქემა. დამტკიცებულია მისი მდგრადობა და კრებადობა. მოყვანილია მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმი. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები და მათი ანალიზი. შედეგები მოცემულია ცხრილებისა და გრაფიკული ილუსტრაციების სახით.

მცენარეთა მარღვოვანი განვითარების ბიოლოგიური მოდელის მრავალგანზომილებიანი ანალოგისათვის აგებული და შესწავლილია დეკომპოზიციური სტრუქტურის ცვალებადი მიმართულების სასრულ-სხვაობიანი სქემა. დამტკიცებულია ალგორითმის მდგრადობა და



კრებადობა. ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები, რომლებიც ადასტურებენ თეორიული შედეგების ეფექტურობას.

ყურადღება გამახვილებულია კომის გულის მქონე ინტეგრალის გამოყენებაზე გადატანის მრავალსიჩქარიანი თეორიის ამოცანების შესწავლისას. აგებულია შესაბამისი მოდელის ზუსტი ამონახსნები.

2.	ზოგიერთი არასტაციონარული ოპერატორული დიფერენციალური განტოლებისთვის მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმების აგება, გამოკვლევა და კომპიუტერული რეალიზაცია	2018-2022	<p><b>პროექტის ხელმძღვანელი:</b> ჯ. როგავა</p> <p><b>პროექტის შემსრულებლები:</b> ჯ. როგავა ა. პაპუკაშვილი</p> <p><b>საზოგადოებრივ საწყისებზე:</b> მ. წიკლაური (მისურის (აშშ) მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასოცირებული მკვლევარი პროფესორი)</p>
----	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

ჰილბერტის სივრცეში განხილულია კომის ამოცანა მეორე რიგის არაწრფივი ევოლუციური განტოლებისთვის. ეს განტოლება წარმოადგენს J. Ball-ის არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების აბსტრაქტულ განზოგადებას. განხილულია ზოგადი არაწრფივობის შემთხვევა, შესაბამისად იმ წევრების მიხედვით, რომლებიც შეიცავენ გრადიენტის ნორმას. დასმული ამოცანის მიახლოებითი ამოხსნისათვის შემოთავაზებულია სამშრიანი ნახევრად-დისკრეტული სქემა, სადაც გრადიენტის შემცველი წევრების აპროქსიმაცია ხდება ინტეგრალური საშუალოების გამოყენებით. დამტკიცებულია, რომ არაწრფივი დისკრეტული ამოცანის ამონახსნი და მისი შესაბამისი პირველი რიგის წარმოებულის სხვაობიანი ანალოგი თანაბარად შემოსაზღვრულია. შესაბამისი წრფივი დისკრეტული ამოცანისათვის მიღებულია მაღალი რიგის აპრიორული შეფასებები ჩებიშევის ორი ცვლადის პოლინომების გამოყენებით. ამგაქტებზე დაყრდნობით, არაწრფივი დისკრეტული ამოცანისთვის დამტკიცებულია აპრიორული შეფასებები საიდანაც გამომდინარეობს სქემის მდგრადობა. ამონახსნთა გლუვ კლასში მიღებულია შეფასებები მიახლოებითი ამონახსნის ცდომილებისთვის. მიახლოებითი ამონახსნს ყოველ დროით ბიჯზე ვპოულობთ იტერაციის გამოყენებით. დამტკიცებულია მისი კრებადობა.

**2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები**

**2.1.**

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
1	თერმო-ელექტრო-	2019-2021	პროექტის ხელმძღვანელი:

